<u>მომსახურების ხელშეკრულება</u>

წინამდებარე მომსახურების ხელშეკრულება (შემდგომში „ხელშეკრულება“) დადებულია 2019 წლის -- ----------.

შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯია“
იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი,
ჭავჭავაძის #34 სართ 6
საიდენტიფიკაციო კოდი: 404391136
წარმოდგენილი მისი დირექტორის
გიორგი დევაძის სახით,
(შემდგომში „დამკვეთი“)

შპს „----------“
მისამართი: ქ. თბილისი, ----------
საიდენტიფიკაციო კოდი: ----------
ბანკი: ----------
ანგ.ნომერი: ----------
წარმოდგენილი მისი დირექტორის
---------- სახით,
(შემდგომში „შემსრულებელი“)

(ცალ–ცალკე, „დამკვეთი“ და „შემსრულებელი“ მოიხსენიებიან, როგორც „მხარე“, ხოლო ერთობლივად, როგორც „მხარეები“)

1. „ხელშეკრულების“ საგანი და „მომსახურების“ გაწევა

1.1. წინამდებარე „ხელშეკრულების“ საფუძველზე და მისი პირობების გათვალისწინებით, „შემსრულებელი” კისრულობს ვალდებულებას, რომ გაუწევს „დამკვეთს“ შემდეგი სახის მომსახურებას: „დამკვეთის“ მფლობელობაში არსებული, კორპორატიული გაყიდვების სერვის-ცენტრის გარე გაფორმება - რებრენდინგს, რომელიც მდებარეობს შემდეგ მისამართზე; ---------- (შემდგომში „მომსახურება“). „მომსახურების“ დეტალური აღწერილობა, ხარჯთაღრიცხვა, გაწევის წესი და პირობები თან ერთვის „ხელშეკრულებას“ დანართის სახით და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

1.2. „შემსრულებელი“ აცხადებს და იძლევა გარანტიას, რომ:
აქვს შესაბამისი ცოდნა, გამოცდილება, კვალიფიკაცია, ასევე, ფლობს შესაბამის მატერიალურ-ტექნიკურ აღჭურვილობას, რაც საჭირო და აუცილებელია „მომსახურების“ სრულად, დროულად და ჯეროვნად გასაწევად, მოქმედი კანონმდებლობის, ასევე, ამ სფეროში დამკვიდრებული და მოქმედი სტანდარტების, ნორმებისა და წესების შესაბამისად;

1.3. „შემსრულებელი“ თანახმაა და კისრულობს უპირობო ვალდებულებას, რომ „მომსახურების“ გაწევის პერიოდში რაიმე შეცდომის/ხარვეზის/უზუსტობის გამოვლენის შემთხვევაში, რაც პირდაპირ თუ ირიბად გახდება „დამკვეთის“ ან/და ნებისმიერი მესამე პირისათვის რაიმე ზიანის მიყენების მიზეზი, საკუთარი ხარჯით, სრულად აანაზღაურებს ასეთ, ნებისმიერ ზიანს.

1.4. „შემსრულებელი“ სრულად აცნობიერებს, რომ „დამკვეთი“ „ხელშეკრულებას“ აფორმებს „შემსრულებლის“ განცხადებებსა და გარანტიებზე, ასევე, „შემსრულებლის“ მიერ ნაკისრ ვალდებულებებზე დაყრდნობით, როგორც ეს მითითებულია წინა 1.3. და 1.4. პუნქტებში, ასევე, სხვაგან ამ ხელშეკრულებაში და, რომ „შემსრულებლის“ ასეთი განცხადებებისა და გარანტიების, ნაკისრი ვალდებულებების გარეშე, „დამკვეთი“ წინამდებარე ხელშეკრულებას არ გააფორმებდა ან გააფორმებდა სხვა შინაარსით.

1.5. ,,შემსრულებელი’’ ადასტურებს და სრულად აცნობიერებს 2.7. პუნქტის შინაარს, მოსალოდნელ შედეგებს, გამოხატავს თავისუფალ ნებას, თანამხაა ასეთ პირობებზე და იღებს გამოუხმობად ვალდებულებას, გაუწიოს ,,დამკვეთს’’ შეთანხმებული „მომსახურება“.

1.6. „შემსრულებელმა“ „მომსახურება“ სრულად უნდა დაასრულოს, არაუგვიანეს „ხელშეკრულების“ ძალაში შესვლიდან ---- თვის ვადაში.

2. „ხელშეკრულების“ მოქმედების ვადა და ანგარიშსწორების წესი

2.1. წინამდებარე „ხელშეკრულება“ ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს „მხარეთა“ მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე, მათ შორის „ხელშეკრულების“ მე-4 მუხლით განსაზღვრული საგარანტიო პერიოდის სრულად ამოწურვამდე. აქვე „მხარეები“ თანხმდებიან, რომ „მომსახურების“ დაწყების ვადის ათვლა იწყება „ხელშეკრულების“ ორმხრივი ხელმოწერის შემდეგ.

2.2. წინამდებარე „ხელშეკრულებით“ განსაზღვრული „მომსახურების“ დროულად და სრულად შესრულებისათვის „დამკვეთი“ „შემსრულებელს“ უხდის ანაზღაურებას (შემდგომში „ანაზღაურება“), რომელიც ჯამში შეადგენს ---------- (----------) ლარს, დღგ-ს ჩათვლით.

2.3. „ანაზღაურების“ გადახდა მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ეროვნულ ვალუტაში, გადახდის დღისათვის ეროვნული ბანკის კურსის მიხედვით, შემდეგი წესით:

ჯამური „ანაზღაურების“ 20%-ს (---------- ლარი) „დამკვეთი“ „შემსრულებელს“ გადაუხდის, წინასწარ ავანსის სახით, „ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 7 (შვიდი) სამუშაო დღის ვადაში, შემდეგი 40%-ის (---------- ლარი) გადახდა მოხდება, „შემსრულებლის“ მიერ „მომსახურების“ განსახორციელებლად, ყველა საჭირო მასალის, საქართველოში სრულად იმპორტის შემდეგ 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში, ხოლო დარჩენილ 40%-ს (---------- ლარი) „დამკვეთი“ „შემსრულებელს“ გადაუხდის, „მომსახურების“ სრულად დასრულების შემდეგ და მასზე შემდგარი, საბოლოო მიღება ჩაბარების აქტის ხელისმოწერის დღიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

2.4. ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით „მხარეები“ თანხმდებიან, რომ „ხელშეკრულების“ 2.3. პუნქტით განსაზღვრული, „დამკვეთის“ მიერ წინასწარ, ავანსის ჩარიცხვამდე, „შემსრულებელი“ ვალდებულია წარმოუდგინოს „დამკვეთს“ გადასახდელი ავანსის თანხის ოდენობის საავანსო საბანკო/სადაზღვევო გარანტია, რომელიც უკან დაუბრუნდება „შემსრულებელს“, ავანსის შესატყვისი სამშენებლო სამუშაოების ჩაბარებისთანავე.

<u>საგარანტიო თანხა:</u>

2.5. „მხარეთა“ შეთანხმებით, „ხელშეკრულების“ 2.3. პუნქტით გათვალისწინებულ, თითოეული ანგარიშსწორებიდან, „დამკვეთის“ მიერ დაკავებული იქნება გადასახდელი თანხის 5%-ი [შემდგომში „საგარანტიო თანხა“]. აღნიშნული თანხები „შემსრულებელს“ დაუბრუნდება, 4.2. პუნქტში განსაზღვრული საგარანტიო ვადის, სრულად გასვლის შემდგომ. „მხარეთა“ შეთანხმებით „საგარანტიო თანხა“ წარმოადგენს ამ პერიოდში შესაძლო, გამოვლენილი ხარვეზების „შემსრულებლის“ მიერ შეუფერხებლად აღმოფხვრის უზრუნველყოფას. ასევე „საგარანტიო თანხის“ დაკავების ნაცვლად, შესაძლებელია, რომ „შემსრულებელმა“ წარმოადგინოს შესაბამისი ოდენობის თანხაზე საავანსო საბანკო/სადაზღვევო გარანტია, „დამკვეთისათვის“ მისაღები ფორმით, რომელიც მოქმედი იქნება იმავე ვადით - საგარანტიო ვადის გასვლამდე.

<u>გაუთვალისწინებელი სამუშაო:</u>

2.6. „მხარეთა“ წინასწარი შეთანხმებით; ასეთის არსებობისა და დადასტურების შემთხვევაში, დასაშვებია „ხელშეკრულების“ ჯამური ღირებულება გაიზარდოს, 5%-ის ოდენობით [დასაშვები ნორმა], რაც წარმოადგენს, გაუთვალისწინებელი სამუშაოების ხარჯის ღირებულებას [შემდგომში „გაუთვალისწინებელი ხარჯი“], რაც არ საჭიროებს „დამკვეთის“ წინასწარ წერილობით თანხმობას. ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით „მხარეები“ თანხმდებიან, რომ იმ შემთხვევაში თუ გაუთვალისწინებელი სამუშაოს კუთხით/მიზეზით, სავარაუდო ღირებულება, იზრდება, „ხელშეკრულების“ ჯამური ღირებულების 5%-ზე მეტით, „შემსრულებელი“ ვალდებულია წინასწარ, ნებისმიერი სამუშაოს დაწყებამდე, შეუთანხმოს „დამკვეთს“ აღნიშნული და მიიღოს, „დამკვეთისაგან“ წერილობითი თანხმობა ან/და უარი, კონკრეტული სამუშაო(ები)ს წარმოება, გაგრძელებაზე [გაუთვალისწინებელი სამუშაოების გაწევის, უფლების მიღება]. „დამკვეთის“ მხრიდან წერილობითი თანხმობის მიღების შემთხვევაში, „შემსრულებელმა“ უნდა უზრუნველყოს ასეთი ხარჯების დეტალური გაშიფვრა და დასაბუთება, რომლის საფუძველზეც განხორციელდება დამატებით შსა-ს (შესრულებული სამუშაოს აქტი) გაფორმება. სხვა ყველა შემთხვევაში, „დამკვეთი“ იტოვებს უფლებას, არ გადაუხადოს „შემსრულებელს“ დასაშვები და შეთანხმებული „გაუთვალისწინებელი ხარჯის“ 5%-ზე მეტი, მიუხედავად იმისა, თუ „შემსრულებლის“ მიერ „გაუთვალისწინებელი ხარჯის“ კუთხით, გაწეული, ფაქტობრივი სამუშაოების ღირებულება, აღემატება დასაშვებ 5%-ს, რაზედაც „შემსრულებელი“ თანახმაა და ადასტურებს, რომ არ აქვს და არც მომავალში ექნება, რაიმე სახის მოთხოვნა ან/და პრეტენზია, „დამკვეთის“ მიმართ.

<u>დამატებითი სამუშაო:</u>

2.7. „მხარეთა“ წინასწარი შეთანხმებით; იმ შემთხვევაში თუ, „ხელშეკრულების“ ფარგლებში წარმოებული სამუშაოების დროს, აღმოჩნდება, რომ კონკრეტული სამუშაო მოითხოვს/საჭიროებს დამატებით სამუშაოს გაწევას ან/და დამატებით მასალ(ებ)ის შეძენა/შესყიდვას [შემდგომში, ერთობლივად „დამატებითი სამუშაო“], ასევე, თუ წარმოებული სამუშაოების გაწევის დროს „დამკვეთი“ თვითონ მოსთხოვს „შემსრულებელს“, რაიმე „დამატებითი სამუშაოს“ შესრულებას, „შემსრულებელი“ ვალდებულია, აწარმოოს მოთხოვნილი „დამატებითი სამუშაო“ და წარუდგინოს „დამკვეთს“, ასეთი „დამატებითი სამუშაოს“ წარმოების ფარგლებში, მომსახურებისა ან/და მასალ(ებ)ის შესყიდვის [დახარჯული თანხის], დედანი დოკუმენტები, როგორიცაა: შესყიდული მომსახურების/მასალის „ინვოისი“, სასაქონლო ზედნადები, „სალაროს ჩეკი“, ქვეკონტრაქტორთან გაფორმებული ხელშეკრულება და ა.შ. [შემდგომში „დამადასტურებელი დოკუმენტი“], რომელშიც ჩაშლილად და დეტალურად უნდა იყოს გაშიფრული, დამატებით ჩატარებული სამუშოას ფარგლებში, შესყიდული მომსახურების/მასალ(ებ)ის თვითღირებულება. ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით „მხარეები“ თანხმდებიან, რომ ასეთ შემთხვევაში „დამკვეთი“ „შემსრულებელს“ „დამატებითი სამუშაოსათვის“ გადაუხდის, დამატებით ანაზღაურებას, შემდეგი პრინციპით: ამ პუნქტით გათვალისწინებული „შემსრულებლის“ მიერ წარმოდგენილი, წარმოებული „დამატებითი სამუშაოს“ ჯამურ ღირებულებას [„დამადასტურებელი დოკუმენტის“ საფუძველზე], დამატებული 10%-ი [ზედნადები ხარჯის ღირებულება] და დამატებული 8%-ი, [„შემსრულებლის“ მოგება/გეგმიური

დაგროვება]. სხვა ყველა შემთხვევაში, „დამკვეთი“ იტოვებს უფლებას, არ გადაუხადოს „შემსრულებელს“ იმაზე მეტი, რაც განსაზღვრულია/გათვალისწინებული ამ მუხლით, რაზედაც „შემსრულებელი“ თანახმაა და ადასტურებს, რომ არ აქვს და არც მომავალში ექნება, რაიმე სახის მოთხოვნა ან/და პრეტენზია, „დამკვეთის“ მიმართ.

3. „მხარეთა“ უფლება–მოვალეობები

3.1. „დამკვეთი“ ვალდებულია:

3.1.1. უზრუნველყოს შესაბამისი „ანაზღაურების“ გადახდა ამ „ხელშეკრულების“ მეორე მუხლის დებულებების შესაბამისად.

3.1.2. კეთილსინდისიერად და ჯეროვნად შეასრულოს ამ „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული ვალდებულებები.

3.2. „შემსრულებელი“ ვალდებულია:

3.2.1. ობიექტზე სამუშაოს შესრულების პროცესში დაიცვას ორგანიზაციის შინაგანაწესი და უსაფრთხოების მოთხოვნები და ნორმები.

3.2.2 ,,მომსახურების'' დროს დაიცვას და შეასრულოს ,,მომსახურების'' სფეროში მოქმედი ყველა წესი და სტანდარტი, რათა თავიდან აიცილოს ,,დამკვეთის'' და/ან ნებისმიერი მესამე პირის ქონების და/ან ჯამრთელობის დაზიანება, რამაც შესაძლოა წარმოშვას ,,დამკვეთის'' მატერიალური და/ან არამატერიალური პასუხისმგებლობა. იმ შემთხვევაში, თუ მაინც დადგება ,,დამკვეთის'' პასუხისმგებლობა, რაც გამოწვეულია ,,შემსრულებლის'' ქმედებით, მაშინ ,,შემსრულებელი'' ვალდებულია უპირობოდ, პირველივე მოთხოვნისთანავე აუნაზღაუროს ,,დამკვეთს'' ასეთ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი.

3.2.3. „მომსახურება“ გასწიოს სრულად და „ხელშეკრულებით“ განსაზღვრულ ვადებში.

3.2.4. წინამდებარე ,,ხელშეკრულებაზე'' ხელმოწერით ,,შემსრულებელი'' აღიარებს და იძლევა გარანტიას, რომ ყველა მასალა და ტექნიკა/მოწყობილობა, რომელსაც ის გამოიყენებს ,,მომსახურების'' შესრულების პროცესში, არის სათანადო ხარისხის, ხარვეზების და ნაკლოვანებების გარეშე და იძლევა ,,მომსახურების'' დროში და ხარისხით შესრულების შესაძლებლობას.

3.2.5. შეასრულოს „მომსახურება“ მხოლოდ იმ პირობით, რომ ამგვარი „მომსახურება” იქნება უნაკლო (ნივთობრივად და უფლებრივად) და თავისუფალი ყოველგვარი ვალდებულებებისაგან.

3.2.6. აქვე ,,მხარეები'' თანხმდებიან, რომ ,,შემსრულებელი'' სრულად იღებს პასუხისმგებლობას ყველა მოსალოდნელ რისკზე და ზიანზე, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს შესრულებული სამუშაოს შეუსაბამობით.

3.2.7. მის მიერ სამუშაოების ჩატარებისათვის გამოსაყენებელი, ყველა სახის მასალის ხარისხი და დასახელება, წინასწარ კონკრეტული სამუშაოს დაწყებამდე შეუთანხმოს, „დამკვეთის“ ტექნიკურ დირექტორს, იოსებ ბახუტაშვილს.

3.2.8. პასუხისმგებლობა აიღოს/იკისროს, მისი ყველა თანამშრომლისა და ქვეკონტრაქტორის ქმედებაზე.

3.2.9. ჯეროვნად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ამ „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებები.

3.3. „დამკვეთი“ უფლებამოსილია:

3.3.1. „მომსახურების“ შესრულების პერიოდში ნებისმიერ დროს, შეამოწმოს „მომსახურების“ გაწევის მიმდინარეობა და მიიღოს ყველა საჭირო ინფორმაცია „მომსახურების“ მიმდინარეობის შესახებ, ასევე, გამოყოს პასუხისმგებელი პირი „მომსახურების“ დასრულებისას შესაბამისი (მათ შორის, შუალედური) მიღება-ჩაბარების აქტის გასაფორმებლად.

3.3.2. ხელი არ მოწეროს „მომსახურების“ მიღება–ჩაბარების აქტს, არ გადაიხადოს „ანაზღაურება“ და მოითხოვოს წინასწარ გადახდილი „ანაზღაურების“ უკან დაბრუნება, თუ „მომსახურება“ ან/და „მომსახურების“ ხარისხი არ შეესაბამება „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებულ პირობებს/მოთხოვნებს.

3.3.3. წერილობითი შეტყობინებით, დაუყოვნებლივ, ვადამდე შეწყვიტოს „ხელშეკრულება,“ თუ „შემსრულებლის“ მიერ „მომსახურების“ გაწევის გრაფიკი ან/და ფაქტიურად გაწეული „მომსახურება“ არ შეესაბამება „ხელშეკრულების“ პირობებს/მოთხოვნებს ან/და არ იძლევა მისი შეთანხმებულ ვადებში დასრულების ვარაუდის საფუძველს.

3.3.4. შეწყვეტის ერთკვირიანი ვადის დაცვით, წერილობითი შეტყობინებით, ნებისმიერ დროს, საკუთარი შეხედულებისამებრ, ყოველგვარი ჯარიმისა და ზიანის ანაზღაურების ვალდებულების გარეშე, ცალმხრივად ვადამდე შეწყვიტოს ეს ხელშეკრულება, რა შემთხვევაშიც, „დამკვეთი“ „შემსრულებელს“ გადაუხდის მხოლოდ ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების ღირებულებას.

3.3.5. ხოლო „შემსრულებელი“ აცხადებს წინასწარ და გამოუხმობად თანხმობას, მასზედ რომ „დამკვეთი“ უფლებამოსილია, „შემსრულებლისათვის“ გადასახდელი ნებისმიერი თანხიდან, ცალმხრივად და უაქცეპტო წესით, დაუკავოს/გამოუქვითოს „შემსრულებელს“ დარიცხული პირგასამტეხლოს თანხები, რაზედაც „მხარეთა“ შორის აღარ გაფორმდება/დაიდება,

რაიმე სახის დამატებითი შეთანხმება. „შემსრულებელი“ აცხადებს, რომ ამ პუნქტის შინაარსთან, „შემსრულებელს არ აქვს და მომავალში არ ექნება, რაიმე სახის პრეტენზია ან/და მოთხოვნა.

3.3.6. გამოიყენოს „ხელშეკრულებით“ და კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებები.

3.4. „შემსრულებელი“ უფლებამოსილია:

3.4.1. გამოიყენოს ამ „ხელშეკრულებითა“ და კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებები.

4. მხარეთა პასუხისმგებლობა და გარანტიები

4.1. „შემსრულებლის“ მიერ „ხელშეკრულებაში“ განსაზღვრული ვად(ებ)ის დარღვევის, (თუ აღნიშნული არ არის გამოწვეული „დამკვეთის“ მიზეზით) ან/და „მომსახურების“ არასრულად მიწოდების შემთხვევაში, „დამკვეთი“ უფლებამოსილია „შემსრულებელს“ დააკისროს პირგასამტეხლო ჯამური „ანაზღაურების“ 0.2%-ს ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის, ამასთანავე „მომსახურების“ გაწევის ვად(ებ)ის დარღვევის ან/და არასრულად მიწოდების შემთხვევაში „დამკვეთი“ უფლებამოსილია, „ხელშეკრულების“ 3.3.5. პუნქტის თანახმად, „შემსრულებელს“ „ანაზღაურებიდან“ გამოუქვითოს შესაბამისი პირგასამტეხლოს თანხები. პირგასამტეხლოების გადახდა „შემსრულებელს“ არ ათავისუფლებს „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

4.2. ,,მხარეები'' აღიარებენ და ადასტურებენ, რომ ,,მომსახურების'' დროული შესრულება წარმოადგენს ,ხელშეკრულებით'' ნაკისრი ვალდებულების, შესრულების განმსაზღვრელ ფაქტორს და იმ შემთხვევაში, თუ ,,მომსახურება'' არ იქნება დასრულებული ,,ხელშეკრულებით'' შეთანხმებულ ვადაში, ამან შეიძლება გამოიწვიოს ფინანსური ზარალი ,,დამკეთისთვის''.

4.3. ასეთის საჭიროების ან არსებობოს შემთხვევაში, თუ ,,შემსრულებელი'' დაარღვევს ნებართვის პირობებს რაც გამოიწვევს ,,მომსახურების'' შეჩერებას და/ან ,,დამკვეთის'' დაჯარიმებას ან რაიმე სხვა სახის მატერიალურ და/ან არამატერიალურ პასუხისმგებლობას, მაშინ შემსრულებელი'' ვალდებულია უპირობოდ, ,,დამკვეთის'' პირველივე მოთხოვნისთანავე აუნაზღაუროს მას ნებართვის პირობების დარღვევიდან გამოწვეული სანქციები, მასთან დაკავშირებული ხარჯები და მიყენებული ზარალი.

4.4. <u>საგარანტიო ვადა:</u>

4.4.1. „შემსრულებლის“ და/ან მისი ქვეკონტრაქტორის [ასეთის არსებობის შემთხვევაში] მიერ, შესრულებულ „მომსახურებაზე“ ვრცელდება საგარანტიო ვადა 12 (თორმეტი) თვის განმავლობაში [შემდგომში „საგარანტიო ვადა“]. „შემსრულებელი“ ვალდებულია, აღნიშნული პერიოდის განმავლობაში გამოასწოროს შესრულებულ „მომსახურებასთან“ და/ან გამოყენებულ მასალებთან, გარდა „დამკვეთის“ მიერ მიწოდებული/გადაცემული მასალისა, დაკავშირებით გამოვლენილი ნებისმიერი ხარვეზი და ზიანი, ასევე აანაზღაუროს ასეთი ხარვეზისგან „დამკვეთისთვის“ და/ან მესამე პირისთვის მიყენებული ნებისმიერი და ყველა ზიანი.

4.4.2. იმ შემთხვევაში, თუ „შემსრულებელი“ დააყოვნებს ხარვეზის შეკეთებას ან/და შეცვლას, „დამკვეთი“ უფლებამოსილია თვითონ უზრუნველყოს ხარვეზის გამოსწორება, ხოლო აღნიშნულთან დაკავშირებული ხარჯების გადახდა, ასევე შეკეთების დაყოვნებით მიყენებული ზიანი (ზარალი), ასეთის არსებობის შემთხვევაში, მოსთხოვოს „შემსრულებელს“ ან/და დაქვითოს „საგარანტიო თანხიდან“ 2.5. პუნქტის თანახმად.

„საგარანტიო ვადის“ ათვლა იწყება „მომსახურების“ საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან.

4.5. მიუხედავად იმისა, „შემსრულებელი“ „მომსახურებას“ ასრულებს პირადად თუ ქვეკონტრაქტორის დახმარებით, „შემსრულებელი“ რჩება პასუხისმგებლად „დამკვეთის“ წინაშე და „დამკვეთს“ უფლება აქვს მოსთხოვოს „შემსრულებელს“ წინამდებარე „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, ხოლო ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში „შემსრულებლის“ წინააღმდეგ გამოიყენოს წინამდებარე „ხელშეკრულებით“ მინიჭებული უფლებები და სანქციები.

4.6. იმ შემთხვევაში, თუ ,,მომსახურების'' მიმდინარეობის პროცესში ,,შემსრულებელი'' უხეშად დაარღვევს შრომის უსაფრთხოების წესებს ან/და ნორმებს, რაც აღმოჩენილი და დაფიქსირებული იქნება ,,დამკვეთის'' მიერ, ,,დამკვეთს'' უფლება აქვს ,,შემსრულებელს'' დააკისროს ჯარიმა 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით, თითოეულ ასეთ შემთხვევაზე და/ან შეაჩეროს ,,მომსახურება'' შესაბამისი უსაფრთხოების ზომების მიღებამდე. ,,მომსახურების'' ასეთი შეჩერება ,,შემსრულებელს'' არ ჩაეთვლება საპატიოდ.

4.7. ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, „მხარეები“ თანხმდებიან, ხოლო „შემსრულებელი“ ადასტურებს და თანახმაა; „ხელშეკრულების“ 2.5. პუნქტით განსაზღვრული „საგარანტიო თანხები“ გამოიყენება/მიემართება, საგარანტიო პერიოდში გამოვლენილი ნებისმიერი ხარვეზების/ნაკლოვანებების აღმოფხვრის უზრუნველსაყოფად, იმ შემთხვევაში თუ,

„შემსრულებლის მიერ არ მოხდება ამ (მე-4) მუხლით განსაზღვრული ვალდებულებების სათანადოდ შესრულება ან/და მოხდება არაჯეროვნად შესრულება.

4.8. „მხარეები“ თანხმდებიან, რომ იმ შემთხვევაში, თუ „მომსახურების“ ხარისხი არ შეესაბამება წინამდებარე „ხელშეკრულებით“ (მისი დანართებით) განსაზღვრულ და ზოგადად ამგვარი „მომსახურებისათვის“ აღიარებულ ტექნიკურ და სხვა ნორმებს, „შემსრულებელი“ „დამკვეთის“ წერილობითი მოთხოვნის შესაბამისად, ვალდებულია, საკუთარი ხარჯით გამოასწოროს ამგვარი შეუსაბამობა დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში.

4.9. „მხარეები“ თანხმდებიან, რომ „ხელშეკრულებით“ განსაზღვრული პირგასამტეხლო(ები)ს დაკისრება წარმოადგენს „მხარის“ უფლებას და არა ვალდებულებას დამრღვევი „მხარის“ მიმართ. „ხელშეკრულებით“ განსაზღვრული პირგასამტეხლო(ები)ს მიღების უფლება მეორე „მხარისათვის“ მოპოვებულად ითვლება და შესაბამისი თანხა ექვემდებარება გადახდას, დამრღვევი „მხარისათვის“ შესაბამისი მოთხოვნის წარდგენის შემდგომ; ამასთან პირგასამტეხლოს დარიცხვა განხორციელდება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან, მიუხედავად მოთხოვნის წარდგენის თარიღისა.

4.10. „მხარეები“ თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ამ „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ან არაჯეროვანი შესრულებისთვის, თუ აღნიშნული შეუსრულებლობა/არაჯეროვანი შესრულება გამოწვეული იყო დაუძლეველი ძალით/გარემოებებით, რომელთა დადგომისას/არსებობისას „მხარე“, მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, მოკლებული იყო შესაძლებლობას ჯეროვნად შეესრულებინა ამ „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული ვალდებულებები. აღნიშნულ დაუძლეველ გარემოებებს განეკუთვნება (მაგრამ არ შემოიფარგლება): ყველა სახის სტიქიური უბედურება მიწისძვრა, წყალდიდობა, ეპიდემია, პანდემია, აჯანყება, საბოტაჟი, ბლოკადა, საომარი მოქმედება, სამოქალაქო ომი, ომი, საქართველოს კანონმდებლობაში მომხდარი ცვლილებები (ფორს-მაჟორული გარემოებები). „მხარე“ რომელსაც შეეხება ამგვარი ფორს-მაჟორული გარემოებები ვალდებულია მეორე „მხარეს“ გონივრულ ვადაში (მაგრამ არა უგვიანეს 5 სამუშაო დღისა) წერილობით აცნობოს ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შესახებ.

4.11. წინამდებარე „ხელშეკრულების“ გათვალისწინებით და მიუხედავად ამავე „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული ფორს-მაჟორული გარემოებებისა, „მხარეები“ თანხმდებიან, რომ თუ „მომსახურების“ დასრულების შემდეგ, წინამდებარე „ხელშეკრულებით“ განსაზღვრული „მომსახურების“ ობიექტს ნებისმიერი სახით და ფორმით დააზიანებს ქარი, რომლის სიჩქარეც არ აღემატება 30 მ/წ-ს (რაც დადასტურებული იქნება შესაბამისი კომპეტენტური ორგანოს მიერ), „შემსრულებელი“ ვალდებულია, უპირობოდ, საკუთარი ხარჯით აღმოფხვრას შესაბამის ავტო-გასამართ სადგურზე დამდგარი ნებისმიერი და ყველა სახის ზიანი „დამკვეთის“ მიერ შესაბამისი შეტყობინებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

4.12. ფორს-მაჟორული მდგომარეობ(ებ)ის დასრულებისთანავე, „მხარეები“ ვალდებულნი არიან სრულად აღადგინონ (გააგრძელონ) ამ „ხელშეკრულებით“ განსაზღვრული უფლება-მოვალეობების შესრულება. „მხარეები“ თანხმდებიან, რომ თუკი ამგვარი ფორს-მაჟორული გარემოება გრძელდება 3 (სამი) თვეზე მეტ ხანს „დამკვეთი“ უფლებამოსილია „შემსრულებელისათვის“ გაგზავნილი შეტყობინების საფუძველზე შეწყვიტოს წინამდებარე „ხელშეკრულება“. ამასთანავე „მხარეები“ თანხმდებიან, რომ „დამკვეთი“ ვალდებულია „შემსრულებელს“ სრულად აუნაზღაუროს „შემსრულებლის“ მიერ „ხელშეკრულების“ შეწყვეტამდე ფაქტობრივად განხორციელებული და „დამკვეთის“ მიერ მიღებული „მომსახურების“ ღირებულება.

4.13. „შემსრულებელი“,,მომსახურების“ გაწევისას პასუხისმგებელია და ვალდებულია განუხრელად დაიცავს არსებული შრომის, უსაფრთხოების, ჯანმრთელობის დაცვის, გარემოს დაცვითი და სხვა ნორმები (მათ შორის, „დამკვეთის“ ნავთობბაზაზე მოქმედი წესები და ნორმები), როგორც თავისი პერსონალის, ისევე სხვა პირთა მიმართ. „შემსრულებელი“ ათავისუფლებს დამკვეთს როგორც საკუთარი, ასევე მესამე პირთა ნებისმიერი პრეტენზიის, სარჩელის, ზიანის ანაზღაურების და სხვა ნებისმიერი მოთხოვნისაგან, რომელიც გამომდინარეობს ან დაკავშირებულია „მომსახურების“ გაწევისას ან გაწევის შედეგად მიღებულ ზიანთან/ზარალთან.

4.14. „შემსრულებელი“ ადასტურებს, რომ „დამკვეთის“ მიერ მისთვის („შემსრულებლისათვის“) მიწოდებული დოკუმენტაცია (საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით, შესაბამისი სახელმწიფო თუ სხვა ორგანოებისაგან ყველა საჭირო უფლება, ლიცენზია, თანხმობა და აუცილებელი ნებართვა, რაც აუცილებელია („შემსრულებლის“) მიერ ამ „ხელშეკრულებით“ განსაზღვრული „მომსახურების“ შესასრულებლად) სრულია და საკმარისია, რათა „შემსრულებელმა“ სრულად, ამ „ხელშეკრულებით“ განსაზღვრულ ვადაში და დადგენილი ხარისხით გაუწიოს „დამკვეთს“ ამ „ხელშეკრულებით“ განსაზღვრული „მომსახურება“.

5. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

5.1. „მხარეები“ თანხმდებიან, რომ „მომსახურების“ შეთანხმებულ ვადაში სრულად და ხარისხიანად დასრულება, წარმოადგენს „დამკვეთის“ უმაღლეს ინტერესს. აღნიშნული გარემოების უზრუნველსაყოფად, „შემსრულებელი“ კისრულობს ვალდებულებას, „ხელშეკრულების“ ძალაში შესვლიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში და „მხარეთა“ მიერ ნებისმიერი მოქმედების განხორციელებამდე, წარუდგინოს „დამკვეთს“, „ხელშეკრულების“ შესრულების უზრუნველყოფის გარანტია [შემდგომში „შესრულების გარანტია“]. „შემსრულებელმა“ „შესრულების გარანტია“ უნდა წარმოადგინოს საავანსო საბანკო/სადაზღვევო გარანტიის ფორმით, „ხელშეკრულების“ ჯამური ღირებულების 10%-ის ოდენობის და მისი მოქმედების ვადა 30 [ოცდაათი] კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს „მომსახურების“ დასრულების თარიღს.

5.2. წარმოდგენილი „შესრულების გარანტია“ „შემსრულებელს“ დაუბრუნდება, „ხელშეკრულების“ ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების/დასრულების შემდეგ.

5.3. „შესრულების გარანტია“ უზრუნველყოფს და „დამკვეთის“ მიერ გამოიყენება/ამოქმედდება, ყველა და ნებისმიერი ზარალის ან/და ზიანის ანაზღაურების მიზნით, რომელიც მიადგება „დამკვეთს“, „შემსრულებლის“ მიერ „ხელშეკრულების“ პირობების შეუსრულებლობის (არაჯეროვანი შესრულებით) ან არასრულად შესრულების გამო, ასევე „შემსრულებლისათვის“ დაკისრებული სანქციების გადახდის მიზნით.

6. მარეგულირებელი კანონმდებლობა

6.1. წინამდებარე „ხელშეკრულება“ რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

6.2. ამ „ხელშეკრულებასთან“ ან მის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა ან უთანხმოება გადაწყდება „მხარეებს“ შორის მოლაპარაკების გზით. იმ შემთხვევაში, თუ „ხელშეკრულებასთან“ ან მის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებული დავის ან უთანხმოების გადაწყვეტა ვერ მოხდება „მხარეებს“ შორის ამგვარი დავის ან უთანხმოების წარმოშობიდან 20 (ოცი) დღის განმავლობაში, ნებისმიერი „მხარის“ მოთხოვნით დავა განსახილველად და საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად გადაეცემა საქართველოს სასამართლოს.

7. საერთო პირობები

7.1. რომელიმე „მხარის“ მიერ „ხელშეკრულების“ მთლიანად ან ნაწილობრივ დარღვევასთან დაკავშირებით სხვა „მხარის“ მიერ მისთვის მინიჭებული უფლებების გამოუყენებლობა არ გავრცელდება „ხელშეკრულების“ ნებისმიერ შემდგომ დარღვევაზე. უფლებების ამგვარი გამოუყენებლობა ასევე არ იქონიებს გავლენას სხვა (არადამრღვევი) „მხარის“ უფლებაზე „ხელშეკრულების“ შემდგომ დარღვევასთან დაკავშირებით.

7.2. წინამდებარე „ხელშეკრულება“, მასში გათვალისწინებული უფლებებითა და ვალდებულებებით, სრულად გავრცელდება „მხარეთა“ შესაბამის სამართალმემკვიდრეებსა და უფლებამონაცვლეებზე.

7.3. წინამდებარე „ხელშეკრულების“ ნებისმიერი ცვლილება ან დამატება უნდა გაკეთდეს წერილობით, ხელი მოეწეროს „მხარეთა“ (ან მათი) უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ.

7.4. წინამდებარე „ხელშეკრულების“ რომელიმე დებულების ბათილობა არ იწვევს მთლიანად „ხელშეკრულების“ ბათილობას. ბათილი დებულების ნაცვლად გამოიყენება იმგვარი დებულება, რომლითაც უფრო ადვილად მიიღწევა ამ „ხელშეკრულებით“ (და მათ შორის, ბათილი დებულებით) გათვალისწინებული მიზანი.

7.5. წინამდებარე „ხელშეკრულების“ დანართები წარმოადგენენ „ხელშეკრულების“ განუყოფელ ნაწილს.

7.6. წინამდებარე “ხელშეკრულების” საფუძველზე მხარეთა შორის გაფორმებულ დამატებით შეთანხმებებსა და სხვა ხელშეკრულებებს მიენიჭება უპირატესობა იმ საკითხებთან მიმართებაში, რომელთა დასარეგულირებლადაც არის დადებული ამგვარი შეთანხმება, თუ სხვა ხელშეკრულება.

7.7 ,,მხარეები'' ადასტურებენ, რომ მათ გაცნობიერებული აქვთ წინამდებარე ,,ხელშეკრულების'' შინარსი, იგი ზუსტად გამოხატავს ,,მხარეთა'' თავისუფალ ნებას და რომ მათ მიერ ნების გამოვლენა მოხდა ,,ხელშეკრულების'' შინაარსის გონივრული განსჯის შედეგად.

7.8. წინამდებარე „ხელშეკრულება“ შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და სათითაოდ გადაეცემა მხარეებს.

„დამკვეთის“ სახელით,

_____

გიორგი დევაძე

„შემსრულებლის“ სახელით,

_____

შოთა მუმლაძე